

ვერა ყურულაშვილი

## ბავშვის აღზრდის პირველი ნაბიჯები


რედაქტორები: პედაგოგიკის დოქტორი,

პროფ. მერაბ ქათამაძე და ომარ შუდრა

რეცენზენტი: ანა მურაჩაშვილი

მხატვარი: ლილი მჭედლიშვილი

კომპიუტერული დაკაბადონება: ქეთი თომაძე



თბილისი 2013წ.

ბავშვის დაბადება, რა შეიძლება იყოს ამაზე მნიშვნელოვანი. პატარა ადამიანის მოვლინებას ყველანი მოუთმენლად ველოთ. წინასწარ ვგეგმავთ, სად მივადებინოთ განათლება, რამდენი უცხო ენა შევასწავლოთ, ხელოვნების რომელ დარგებს დაეუფლოს და ა.შ. ახალშობილის განვითარებაზე ზრუნვას პირველივე დღიდან ვიწყებთ. ბავშვის ადრეული განვითარების იდეა ძალზე მოდური გახდა და ახალგაზრდა დედების გულები დაიპყრო. ბავშვის ნაადრევი განვითარების მრავალი თეორია არსებობს.

ბავშვს ვზრდით ზაიცევის, ლიპანის, დომანის თეორიების მიხედვით, ვცდილობთ, რომ 3-4 წლის ასაკში იცოდეს კითხვა, არითმეტიკული მოქმედებები, საუბრობდეს რომელიმე უცხოურ, უპირატესად ინგლისურ ენაზე. ბოლო წლებში მშობლები დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვის განვითარების ისეთ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, როგორცაა თითების ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი თამაშები და სხვა, დაჰყავთ ცურვაზე, ტანვარჯიშზე, ცეკვაზე. ეს მეთოდები, ძირითადად, ბავშვის ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას უწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია, მშობლებმა ყურადღება განვითარების სხვა ასპექტებზეც გაამახვილონ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანი სოციალური არსებია, რომელმაც ადამიანების გარემოცვაში უნდა იცხოვროს.

დედებო და მამებო, ხომ გსურთ, თქვენი შვილი ბედნიერი იყოს?

ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებასთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ სოციალური და სულიერი უნარების ჩამოყალიბებას. ისეთი თვისებების განვითარებას, როგორცაა: მშობლებისა და უფროსების პატივისცემა, საკუთარ თავში რწმენის განვითარება, კომუნიკაციის დამყარების უნარი.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ყოველივე მატერიალურ ხარჯებს არ მოითხოვს. ჩვეულებრივ სიტუაციებშიც შეგვიძლია ამ უნარების ჩამოყალიბება. ამისათვის საკმარისია შევცვალოთ ბავშვთან ურთიერთობის სტილი, ცოტა სხვაგვარად მივაწოდოთ იგივე ინფორმაცია და სხვ.

## 2.

ბიბლიიდან გვახსოვს: „უკეთესია ადამიანს თევზის ჭერა ასწავლო, ვიდრე თევზი მისცე“- გვახსოვს, ვიცით, მაგრამ ბავშვთან ურთიერთობაში არ ვიყენებთ. უფროსებისათვის ბევრად უფრო მარტივია თვითონ გააკეთონ ბავშვის მაგივრად, ვიდრე დაეხმარონ მას: აჭამონ კოვზით, ჩააცვან ტანსაცმელი და შეუკრან ღილები, ფეხსაცმელზე კი – თასმები, რდგან ფიქრობენ - შემდგომშიც ისწავლისო. ამ დროს ჩვენ ბავშვს არ ვაძლევთ საშუალებას იგრძნოს თავისი პირველი წარმატება, გააკონტროლოს საკუთარი თავი. ამიტომ, თუ მომავალშიც გაგიჩნდებათ სურვილი ბავშვის ნაცვლად რამე გააკეთოთ, შეჩერდით, მიეცით მას საშუალება თვითონ იმოქმედოს, თუ გთხოვთ დახმარებას - ურჩიეთ, მაგრამ მის ნაცვლად არ გააკეთოთ! შეამჩნიეთ მისი შესრულებული საქმე. კარგია თუ დედა ამ შემთხვევაში შეაქებს კიდევ : - „მე ისეთი ბედნიერი ვარ, ამას შენ თვითონ რომ აკეთებ, მე ვამაყობ შენით“ და ა.შ. დედას არ გაუჭირდება შესაფერისი სიტყვების მოძებნა. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ დედა მისით ამაყოფს, სიხარულით დაეხმარება და ასწავლის.



კიდევ როგორ შეიძლება ბავშვის თვითშეფასების ამაღლება? რაც შეიძლება ხშირად აქეთ იგი. დაფიქრდეთ, როგორ ვზრდით შეილს. ყველაზე ხშირად მათ მიმართ ისმის: „არა“, „არ შეიძლება“, „არ გააკეთო“, „არ მოკიდო“, რაც უფრო მეტი „არა“ ესმის ბავშვს, მით უფრო ნაკლებადაა დაჯერებული საკუთარ თავში.

გვესმის, რომ ბავშვის უსაფრთხოება ყველა დედასთვის ძალზე მნიშვნელოვანია და აკრძალვებს, როგორც წესი, საფუძვლად ეს გრძნობა უდევს. რაც შეიძლება ხშირად გაუსვით ხაზი დადებითს, რაც მას გამოსდის, რასაც კარგად აკეთებს. თუ შეცდომა დაუშვა, დაეხმარეთ მის გამოსწორებაში, აგრძნობინეთ, რომ მას შეუძლია წინააღმდეგობების გადალახვა, რომ თქვენ მისი გჯერათ. უარყოფითად დაპროგრამებულ აღზრდას თანამედროვე პედაგოგიკა არ ცნობს.

ნუთუ ჩვენ, უფროსები, შეცდომას არ ვუშვებთ? არასოდეს დაგიქცევიათ წვნიანი მაგიდაზე, არ გაგიტყხავთ რამე? უფროსებს არავინ მიუთითებს ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ხოლო ყველა თავს ვალდებულად თვლის, ბავშვს შენიშვნა მისცეს. რატომ გავიწყდებათ, რომ ის პატარაა, ახლა სწავლობს და, შესაბამისად, უფრო მეტ შეცდომას უშვებს.

ყველა მშობელს უნდა ბავშვი ჯანმრთელი, ჭკვიანი, ბედნიერი და წარმატებული გაიზარდოს. თუ დაბადების პირველივე დღეებიდან მის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ინტელექტუალურ განვითარებაზე ვზრუნავთ, ბედნიერებასა და წარმატებას ადრეული ასაკიდანვე რომ ეყრება საფუძველი, ეს რატომ გვავიწყდება? ჩვენს შვილს თუ დაბალი თვითშეფასება ექნება, იგი ვერც ბედნიერი და ვერც წარმატებული ვერ გახდება. მაღალ თვითშეფასებას კი საკუთარი თავის რწმენა იძლევა, ე.ი. ჩვენი შექება და პოზიტიური დამოკიდებულება, რომლებიც ბავშვისადმი გაგვაჩნია.

კიდევ როგორ შეგვიძლია ბავშვში მაღალი თვითშეფასების განვითარება? ალბათ, თითოეულ დედას საკუთარი ხერხი გააჩნია, ჩვენ კი ერთ ადვილ და ყველასათვის ხელმისაწვდომ გზას გთავაზობთ, შეგიძლიათ აიღოთ ლამაზი უბის წიგნაკი და თითოეული მიღწევის შემდეგ ბავშვთან ერთად მასში ჩაწეროთ ან ჩახატოთ რამე. შეიძლება ცალკე ფურცელიც გამოიყენოთ, მასზე დაწეროთ და დახატოთ მისი წარმატების აღმნიშვნელი სურათი და ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრათ. რა თქმა უნდა, წიგნაკში არ უნდა ფიქსირდებოდეს

აბსოლუტურად ყველა წვრილმანი, მაგრამ ის, რაც მან პირველად გააკეთა და წარმატებას მიაღწია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს. წერთ თარიღს და თქვენთვის და თქვენი ბავშვისათვის ყურადსადეგ მოვლენას – დღეს პირველად შეძლო საწოლის გასწორება, დღეს პირველად მიაღაგა თავისი მაგიდა და ა.შ. შექმენით მასთან ერთად მისი მიღწევების წიგნი, რომელიც შეიძლება სხვებს აჩვენოთ (ბებიებსა და ბაბუებს ძალზე გაუხარდებათ მისი ნახვა).

### 3.

ყველას გგსმენია ცნობილი ფრაზა: „ყველაფერი ბავშვობიდან მოდის“. ბავშვობიდან მოდის როგორც ჩვენი წარმატების, ბედნიერების საფუძვლები, ასევე ჩვენი კომპლექსებიც.

ნებისმიერი ადამიანისთვის არასასიამოვნო სიტუაციაა, როდესაც თავს დამნაშავედ ვგრძნობთ, ხშირად ვფიქრობთ, რომ ვიღაცის მიმართ უყურადღებობა გამოვიჩინეთ. განსაკუთრებით კი ეს ქალებს ახასიათებს, რადგან გოგონების ბუნებაში ჩადებულია სხვაზე ფიქრი, როგორც წესი, მათ ხშირად უხდება დამებზე ზრუნვა, გარკვეული მოვალეობის შესრულება.

რა გასაკვირია, რომ ზრდასრულები ხშირად ვგრძნობთ თავს დამნაშავედ თუ სახლი დროზე ვერ დავაღებთ, ყველაფერი არ ბრწყინავს, ან რაიმე ამის მსგავსი. ვცდილობთ, ყველაფერი იდეალურად გავაკეთოთ. იმის შიში, რომ კარგად ვერ შევასრულებთ, არ გვაძლევს საშუალებას ახალი საქმე დავიწყოთ, ამის გამო ვერ ვახდენთ საკუთარი თავის რეალიზებას.

როგორ აღვზარდოთ ბავშვი ისე, რომ მას ეს კომპლექსი არ ჰქონდეს?

განვიხილოთ ნებისმიერი ყოფითი სიტუაცია... თუ ბავშვმა რაიმე არასწორად გააკეთა, მაშინვე ვლინდება საპასუხო რეაქცია, რომელშიც იგრძნობა აგრესია და ხშირად ზიზღიც: აუცილებლად დაუყვირებს ვინმე და შეიძლება არა ერთი, არამედ რამოდენიმე უფროსი ერთად.

ბავშვის არასწორი საქციელისადმი ჩვენ მიერ გამოვლენილ რეაქციაზე დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მისი პიროვნება. თუ უფროსებისაგან იგრძნო მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ, ბავშვს უმძაფრდება დანაშაულის გრძნობა. შემდგომი მსგავსი სიტუაციები ამ კომპლექსს აძლიერებს. შეეჩვიეთ, რომ ასეთი შემთხვევის დროს სიმშვიდის შენარჩუნება ყველაზე კარგი გამოსავალია და არა ყვირილი ან აგრესია. უმჯობესია თუ წყნარად სთხოვთ რჩევას: - „რა შეიძლება ერთად გავაკეთოთ ამ სიტუაციის გამოსასწორებლად?“

როცა თქვენ რამეს აშავებთ, საკუთარ თავს ხომ არ უყვირით?! არამედ, უბრალოდ იწყებთ მდგომარეობის გამოსწორებას. ასევე უნდა მოიქცეთ ბავშვთან, უკარნახოთ, როგორ შეიძლება იპოვოთ გამოსავალი. ამით თქვენ ორ კარგ საქმეს აკეთებთ: ბავშვს არ ჩამოუყალიბდება დანაშაულის გრძნობის კომპლექსი და იგრძნობს, რომ შეუძლია პრობლემის კონსტრუქციულად გადაჭრა, ანუ ამადღდება მისი თვითშეფასება. ამასთანავე, მას გაუჩნდება პასუხისმგებლობის გრძნობა, არ შეეშინდება რაიმეს გაკეთება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოზრდილებში გვხვდება – საკუთარი თავის უარყოფაა. ხშირად ვართ თვითკრიტიკული და არ გვიყვარს ჩვენი თავი. ესეც ბავშვობიდან მოდის. ჩვენ ბავშვს ვეუბნებით: „დღეს ცუდად მოიქეცი, ასეთი არ მიყვარხარ“.

ბავშვი თოთხმეტ წლამდე აბსტრაქტულად ვერ აზროვნებს. ჩვენი სიტყვები მისთვის რეალობაა, მას სჯერა, რომ არ გვიყვარს და ქვეცნობიერებაში დონეზე ეს აღიბეჭდება. შედგომში ეს აისახება მის ქევაზეც. ხშირად ბავშვობაში უფროსების ასეთი დამოკიდებულება არის შემდგომი კრიზისის და საკუთარი თავის მიუღებლობის საწინდარი. ეს შეიძლება ცხრა წლიდან გამოვლინდეს, როდესაც ბავშვი თვლის, რომ ის და ოჯახი ცალ-ცალკე არიან. 9-12 წლიდან ბავშვი იწყებს მშობლების შეფასებას და თავს იჩენს ფარული კონფლიქტი, როდესაც მას ეუბნებოდნენ, რომ არ უყვართ, ეს ბუმერანგივით უბრუნდება

მშობლებს. მოზარდი არა მარტო ფიქრობს, რომ იგი მშობლებს არ უყვარს, ის ასე გრძნობს თავს და შესაბამისად, უარესდება მისი ურთიერთობა მშობლებთან: - „თუ არ გიყვარვარ, მეც არ მიყვარხარ“, ან რაც საკმაოდ მძიმეა, მოზარდი საკუთარი თავის მიმართ ძალზე კრიტიკულად არის განწყობილი, ის ფიქრობს: - „თუ დედას არ ვუყვარვარ, ვერავინ შემეყვარებს, რადგან სიყვარულის ღირსი არ ვარ“. მშობლებო ! გაუფრთხილდით შვილთან ურთიერთობას, ხშირად უთხრით მას, რომ გიყვართ. ასე ამბობენ, ბავშვს დღის განმავლობაში 12-ჯერ უნდა შეეხო ხელით, მიუაღერსო და მაშინ იგი გახსნილი იქნება სიყვარულისა და ბედნიერებისათვის.



#### 4.

თამაში-მიბაძვა დამახასიათებელია პატარისათვის. თუ, ფიქრობთ, რომ იგი არასწორად იქცევა, არ შეაწყვეტინოთ მკვეთრად, აჩვენეთ დადებითი მაგალითი, შემდეგ კი, დაფიქრდით, საიდან აიღო ნეგატიური ვარიანტი.

პატარა როგორც დღეს თამაშობს, მომავალშიც ისე მოიქცევა. თამაშის დროს თავი აარიდეთ ისეთ სიტუაციებს, რომლის დროსაც უფროსები აშინებენ ბავშვს, იყენებენ ძალაუფლებას. ბავშვს არ შეუძლია როლის დისტანცირება საკუთარი თავისგან. როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს, თუნდაც ზღაპრის გმირების განსახიერება, მას არ უნდა მისცეთ პატარა, დამოუკიდებელი, სუსტი ან ცუდი პერსონაჟის როლი. თუ გინდათ აჩვენოთ მაგალითი, რა დაემართება იმას, ვინც არ უსმენს სხვას, ცუდად იქცევა ან რამე მსგავსი, უკეთესია ეს როლი თქვენ შეასრულოთ ან ამისთვის რომელიმე სათამაშო გამოიყენოთ.

იმისათვის, რომ თქვენს შვილს ასწავლოთ აქტიური თამაში, შეიძლება „შუამავალი“ მოიწვიოთ: და, ძმა, თანატოლი ან სათამაშო თოჯინა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს „შუამავალი“ ძალზე აქტიური არ აღმოჩნდეს და თქვენი პატარა არ დაჯაბნოს.

სწორი აღზრდის მესამე და მნიშვნელოვანი პირობაა – შეაქოთ ბავშვი ნებისმიერი ინიციატივისა და ფანტაზიის გამოვლენისათვის. მოიფიქრეთ ახალი თამაში, როლი, ასოციაციები. თუ ბავშვი ძალიან მორცხვია, მიეცით ნება თქვენი რეჟისორი იყოს ან გამოიყენეთ თოჯინები, ნიღბები, რომლებსაც მიუთითებს და დავალებას მისცემს. გაითვალისწინეთ, რომ არც ერთი ეს მოქმედება არ შეიძლება განხორციელდეს ბავშვის ნების წინააღმდეგ, მან თავი ღაღად, კომფორტულად უნდა იგრძნოს.

მას შემდეგ, რაც ბავშვი მეტ-ნაკლებად გაერკვევა თავის ირგვლივ არსებულ საგნებში, იგი სწავლობს თამაშს. სკოლამდელი თამაშის რამდენიმე სტადიას გადის:



პირველი - როლური თამაში, როდესაც ბავშვი საკუთარ თავს ვინმესთან აიგივებს, ის შეიძლება იყოს დედა, მამა, კურდღელი, კონკია და სხვ.

მეორე - სიუჟეტური, როდესაც ბავშვი სხვადასხვა ისტორიას ან სიუჟეტს გაითამაშებს. ამ თამაშს აქვს დასაწყისი, განვითარება (რომელიც შეიძლება ერთ დღეზე მეტ ხანს გრძელდებოდეს) და დასასრული.

მესამე სტადია - თამაში წესების დაცვით, როდესაც ბავშვი არა მხოლოდ სიუჟეტის ლოგიკური განვითარების მიხედვით მოქმედებს, არამედ შეუძლია შემოქმედოს და მიიღოს გარკვეული შეზღუდვების, წესების სისტემა.

თამაშის პირველი ორი სტადია ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მის არტიზიმს, უშუალობას. მესამე სტადია ემსახურება მის სოციალიზაციას, ურთიერთობების დამყარების უნარს.

აქტიური, შემოქმედებითი თამაში ყველა ბავშვისათვის არ არის დამახასიათებელი, ეს დამოკიდებულია მის ტემპერამენტზე. თუ ბავშვი მორცხვია ან მას რაიმე კომპლექსი უვითარდება, როგორც წესი, ის ირჩევს მშვიდ თამაშებს ან საერთოდ არ თამაშობს სხვებთან, ან უპირატესობას კომპიუტერულ თამაშებს ანიჭებს. ეს კი ცოცხალი თამაშების ძალზე არაადეკვატური შეცვლაა.

ბავშვის სწორი, ნორმალური განვითარებისათვის ტრადიციული, სიუჟეტურ-როლური თამაშები აუცილებელია.

როგორ მივაჩვიოთ ბავშვი ასეთ თამაშებს?

შეიძლება ჩვენ თვითონ ვითამაშოთ ბავშვთან ერთად. თამაშის დახმარებით ბავშვი შეიცნობს გარემოს, მასში არსებულ ურთიერთობებს. არ არსებობს აზრსმოკლებული თამაში. ყურადღებიანი მშობლები ნებისმიერ თამაშში ხედავენ არსს.

ბავშვს შეუძლია ერთი და იგივე თამაში ბევრჯერ გაიმეოროს, ამ დროს ხდება ბავშვისათვის ახალი ცნებებისა და მოქმედებების ათვისება.

ბავშვი ხშირად უფროსს „აქტიური მეთვალყურის“ როლს ანიჭებს ხოლმე. როდესაც თამაშობს „მაღაზიას“, შეიძლება დედა მუდმივი „მყიდველის“ ან „გამყიდველის“ როლში იყოს. ბავშვისათვის აუცილებელია უფროსის რეპლიკები, ხშირი შექება თამაშის დროს და როდესაც ფიქრობთ, რომ თამაში დამთავრდა, იგი თავიდან იწყებს. ბავშვისათვის მრავალჯერადი გამეორება მნიშვნელოვანია. ყოველი გამეორების დროს გარკვეულ მოქმედებებს თავიდან ითვისებს. რომელი დროსაც ბავშვი თავის შინაგან კითხვაზე იღებს პასუხს, გამოაქვს გარკვეული დასკვნები.

მესმის, რომ უფროსისათვის რთულია გამოძებნოს იმდენი დრო, რომ თამაში რამდენიმეჯერ გაიმეოროს, მაგრამ მოითმინეთ, არ მისცეთ საკუთარ თავს უფლება უცებ შეაწყვეტინოთ თამაში, მიეცით ბავშვს საშუალება კარგად გაიაზროს, მოერგოს სიტუაციას, შემდგომში ხომ ასეთი შემთხვევებისაგან აიწყობა ის „მოზაიკა“, რომელიც თქვენი ბავშვის მომავალი ცხოვრების ურთიერთობების დამყარებას შეუწყობს ხელს.

## 5.

### **„სიჯიუტის პერიოდის“ კრიზისი**

როგორ უნდა მოიქცეთ, როდესაც თქვენი ორი წლის შვილი ყველაფერს პირიქით აკეთებს? პირველ რიგში დაგმშვიდდეთ, პანიკის საფუძველი არ არსებობს. ბრალოდ, თქვენი ბავშვი, ისევე როგორც სხვა ბავშვები, „სიჯიუტის პერიოდის“ კრიზისს განიცდის. თითოეული ბავშვისათვის ეს პერიოდი სხვადასხვა დროს იწყება. როგორც წესი, ეს პერიოდი 2-2,5 წლიდან 5-5,5 წლამდე გრძელდება. გოგონების შემთხვევაში კრიზისის პერიოდი უფრო ნაადრევია და შედარებით ადვილად მიმდინარეობს.

რა იწვევს ამ ცვლილებებს, რა არის ამის მიზეზი? 2-2,5 წლის ასაკში პატარა იწყებს საკუთარი „მეს“ გაცალკევებას გარემოსგან. ქამდე ბავშვი

ოჯახთა 6 იყო გაიგივებული, როგორც ერთი მთლიანობა, აქედან გამომდინარეობს მისი ზედამოკიდებულება დედასთან. 2-2,5 წლის ასაკიდან პატარა გააზრებულად ამბობს „მეს“. იგი უკვე განსაზღვრავს, რომ „მე-მარიამი“ ერთია, ხოლო დედა არის სხვა. მისი და დედის აზრები და სურვილები შეიძლება ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვეოდეს. პატარას ჰგონია, რომ უმნიშვნელო გადაცდომაზეც კი, შეიძლება შენიშვნა მიიღოს. მაგალითად: უკვირს, თუ რა არის ცუდი სირბილში? ეს ხომ ასე საინტერესოა, მით უმეტეს ეზოში, მაღაზიაში. დედა კი ბრაზობს, იმის ნაცვლად, რომ მასთან ერთად დარბოდეს და უხაროდეს.

აღბათ, ამის მსგავსი ბევრი აზრი გაიფიქრებს ხოლმე ჩვენი პატარის თავში. იგი ახლა სწავლობს დამოუკიდებლობას. მან შეიძლება იაროს, ირბინოს, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება. შეიძლება ამას ისე კარგად ვერ ახერხებს, როგორც უფროსი, მაგრამ მისთვის ეს სულ სხვა, ახალი შესაძლებლობებია. შემეცნების, ახალი მეთოდების გამოყენების სურვილი მას სხვადასხვა ექსპერიმენტისკენ უბიძგებს.

პატარას არა აქვს საფრთხის შეგრძნება, არც ჩვენნაირი ცოდნა და გამოცდილება გარე სამყაროს შესახებ, იგი ახლა იძინებს ამას, როდესაც აწყდება ჩვენს საპასუხო რეაქციას თავის ქმედებებზე. ის ცდის ქცევის ყველა შესაძლო ვარიანტს: იმის განსაზღვრა თუ რა შეიძლება და – რა არია, რა არის კარგი და რა ცუდი, მას საკუთარი გამოცდილებით შეუძლია განსაზღვროს. არ ვსაუბრობთ ფიზიკურ აღზრდაზე. ემოციებისა და გრძნობების სამყარო ამ დროს იშლება პატარას წინაშე და გარკვეული შინაგანი განცდები, ემოციები დიდხანს, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეიძლება გაყვეს მას.

ამ დროისათვის ბავშვში ხდება ნებისყოფის გამომუშავება, პატარას არ სჭირდება ყოველწუთიერი მკაცრი კონტროლი. მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარება, მეტყველების ჩამოყალიბება მას თავისუფლების გარკვეულ ხარისხს აძლევს, რომელიც გამოიხატება სურვილში, დამოუკიდებლად აკეთოს ბევრი რამ.

სწორედ ამიტომ ხშირად გვეხმის ამ ასაკის ბავშვისგან „მე თვითონ“, სწორედ ამიტომ ხდება უფროსის დახმარების უგულებელყოფა, პატარა ღიად გამოთქვამს პროტესტს მშობლის იმ მოთხოვნებისადმი, რომელიც არ მოსწონს.

ბუნებრივია, რომ პატარას სურვილები ყოველთვის ვერ დაკმაყოფილდება, ხშირად ისინი მისი უსაფრთხოების მოთხოვნებს არ შეესაბამება და კონფლიქტის სახეზეა.

უფროსებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ ასაკში სხვადასხვა კონფლიქტი გარდაუვალია, მაგრამ მის გარეშე ამ პერიოდს ვერ გადალახავთ.

ნუ მოსთხოვთ, რომ ყოველთვის უფროსს დაუჯეროს, თქვენ ხომ არ გსურთ უნებისყოფო, დაკომპლექსებული, დაბალი თვითშეფასების მქონე პიროვნების აღზრდა. ამავე დროს, ასეთი ადამიანი შეუძლებელია ფიზიკურად ჯანმრთელი იყოს: საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნების დამალვა, სურვილი უფროსებს მოსწონდეს და ყველასათვის კარგი იყოს – ნევროზის განვითარების წყაროა.

2-3 წლის პატარა ჯიუტს რომ გაუძღონ, მშობლებს თვითონ სჭირდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სწავლა. ბავშვი ხშირად „ცდის“ მშობლის მოთმინებას, მისი „პროვოკაციები“ ხშირად გააზრებულია. მშობლები კი ეგებიან ხოლმე მის გამოწვევაზე.

თუ კონფლიქტური სიტუაციიდან გამარჯვებული ყოველთვის ბავშვი გამოდის, მას შეიძლება ზედმეტი თვითდაჯერებულობა განუვითარდეს. პატარამ უკვე გაიგო, რომ ტირილით, განუწყვეტელი მოთხოვნებით შეიძლება მიაღწიოს სასურველს. ის მხოლოდ საკუთარი სურვილების გათვალისწინებას ეჩვევა. შედეგად ეგოისტი იზრდება, რომელსაც გაუჭირდება მომავალში სხვებთან ურთიერთობა, რადგან საკუთარ ქმედებებს ვერ შეუფარდებს რეალურ შესაძლებლობებს.

მაგალითად, მშობლების ავტორიტარული ქცევის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს ბავშვში ლოგონევროზის ჩამოყალიბება.

ამავე დროს, თუ ერთხელ „გაიმარჯვა“ მშობლებზე, ისინი მისთვის ავტორიტეტები აღარ არიან და ჩათვალეთ, რომ სახლში პატარა „ტირანი“ გყავთ, რომელიც თქვენ, როგორც საკუთარ ვასალებს, ისე მოგექცევათ.

მეორე მხრივ, მშობლების ავტორიტარული მოქცევა პატარის ნებისყოფას თრგუნავს და შეიძლება ზემოაღწერილი ნევროზული ტიპი მივიღოთ, თუმცა ბავშვი, შესაძლოა, გარეგნულად კარგად გამოიყურებოდეს – იყოს დამჯერი, აკურატული, სერიოზული, ზრდილობიანი. უფროსებს მოსწონთ ასეთი პატარები, მაგრამ რამდენად კარგია ეს თვითონ პატარისათვის? ასეთ ბავშვს მომავალში ძალზე გაუჭირდება. მას ყოველთვის ვინმეს ხელმძღვანელობა სჭირდება და თუ ბავშვობაში ეს არც თუ ისე ცუდია, ზრდასრულ ასაკში შექმნის პრობლემებს.

ორი უკიდურესი პოზიცია აღვწერეთ, ჭეშმარიტება კი, როგორც ყოველთვის, სადღაც შუაშია. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის გონივრული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს და ამავე დროს აღიკვეთოს დემონსტრაციული თვითნებობა.

ამ კრიზისულ პერიოდში პატარას ყველაზე მეტად სითბო და უფროსების მოთმინება სჭირდება.

ნუ გეზარებათ, ნუ დაიშურებთ შექებასა და წახალისებას კარგი საქციელისათვის. თუ შეცდომა დაუშვა, შეეცადეთ აუხსნათ მიზეზი, მიუთითოთ და ასწავლოთ შეცდომის გამოსწორების გზები – ეს ყველაზე სწორი რეაქციაა.

იმისათვის, რომ საბოლოოდ მოუხსნათ სტრესი, შესთავაზეთ რამე საინტერესოს ერთად გაკეთება, ამით ყურადღებას გადაიტანთ სხვა საკითხზე და მას სულიერ სიმშვიდეს დაუბრუნებთ.

„სიჯიუტის“ პერიოდი კრიზისულია არა მარტო მშობლისათვის, არამედ თვითონ ბავშვისათვის. იგი ხშირად ნეგატიურ ემოციებს გრძნობს და განიცდის. ბავშვს არ შეუძლია მუდამ კარგი იყოს. მას უნდა დავეხმაროთ, რათა მოერიოს შიშს, წყენას, ბრახს. არ შეიძლება ასეთი ლაპარაკი, რომ „კარგი ბიჭები ასე არ

იქცევიან”, არც იმის, რომ „არ შეიძლება დედაზე გაბრაზება” და ა.შ. ასეთი ქცევებით თქვენ უარყოფითი ემოციების გამოსატყვევებლად უკრძალავთ, ის კი, როგორც ყველა ჩვეულებრივი ადამიანი უარყოფით ემოციებსაც განიცდის. თუ პატარა გრძნობს, რომ არ შეუძლია ამის გამოსატყვევება, ის უკვე თავის თავში იკეტება. შედეგად კი ემოციების არაადეკვატურ მკვეთრ გამოვლენას მივიღებთ, როდესაც იგი ვეღარ შეძლებს მათთან დამოუკიდებელ გამკლავებას. ბავშვი დანაშაულის გრძნობას განიცდის, მზად არის საკუთარი თავი დასაჯოს, ამ დროს კი ნერვული სისტემა და ჯანმრთელობა ზიანდება. რა ვქნათ? სად არის გამოსავალი?

უნდა ვაჩვენოთ პატარას, როგორ შეიძლება ნეგატიური ემოციების გამკლავება. ისეთი ემოციები, როგორცაა წყენა, ბრაზი, შეიძლება მოძრავ თამაშებში გავაქარწყლოთ. ითამაშეთ ბურთით, პატარა „ომი” მოაწყვეთ ბალიშების გამოყენებით, იყავით გახსნილი, ემოციური. ბავშვთან თამაშის დროს თქვენ მას დაეხმარებით უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებაში, აუცილებელია შეუმჩნეველად გააკონტროლოთ, რომ თქვენი „გიჟობა” არ გაცდეს დაშვებულ საზღვრებს. ასეთი ურთიერთობების შემდეგ ბავშვი მიხვდება, რომ თქვენ იგი ნებისმიერ სიტუაციაში გიყვართ და ცდილობთ მხარი დაუჭიროთ. თქვენი მაღლიერი იქნება, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მაინცდამაინც თქვენს შეთავაზებას გამოიყენებს. მას შეიძლება საკუთარი გამოსავალი ჰქონდეს.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თუ მშობლები ბავშვს ხელს უწყობენ გამოსავლის დამოუკიდებლად ძიებაში და არჩევანის თავისუფლებას აძლევენ, იგი პასუხისმგებლობის გამოვლენას უფრო ადრეულ ასაკში იწყებს. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნა, მთლიანად მშობლების მოვალეობაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: როდესაც ვსაუბრობთ მშობლების მხრიდან მოთმინებასა და ხელშეწყობაზე, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მოთმინება არ არის ყველაფრის ნება, ხოლო ხელშეწყობა არ ნიშნავს ბავშვის ყველა ქმედებით აღფრთოვანებას.

ბავშვისათვის უნდა არსებობდეს განსაზღვრული, გონივრული საზღვრები. სიტყვა „არ შეიძლება“ უნდა იყოს მისთვის ნაცნობი.

შემოგთავაზებთ „არ შეიძლება“ გამოყენების რამდენიმე წესს:

აკრძალვები ბევრი არ უნდა იყოს, ბავშვს უნდა დარჩეს ქცევის ფორმის არჩევანისა და თვითკონტროლის განვითარების საშუალება.

აკრძალვები შეთანხმებული უნდა იყოს ოჯახის ყველა წევრს შორის. დედა და მამა ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ. მნიშვნელოვანია, ამაში ბებიები და ბაბუები ავიყოლიოთ.

აკრძალვა აუცილებელია მშვიდად და აუღელვებლად გამოვიყენოთ, მაგრამ მტკიცედ არ უნდა მისცეთ ბავშვს შანტაჟის საშუალება მიზნის მისაღწევად. ამ დროს მნიშვნელოვანია ბავშვის ყურადღების გადატანა.

„სიჯიუტის პერიოდი“ ძალზე სერიოზული გამოცდაა მშობლებისა და ბავშვებისათვის. უფროსებსაც და პატარებსაც ერთად მოუწევთ სწავლა, მაგრამ ბავშვის მომავალი ბედნიერება ღირს ამად. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის მომავალი ურთიერთობები თქვენთან და სხვა ადამიანებთან.

## 6.

რა ვქნათ, თუ ესმის, მაგრამ არ გვისმენს?! ხშირად ვხვდებით ასეთ სიტუაციაში: 2-3 წლის ბავშვებს ვუხმობთ, მაგრამ პასუხად არაფერს არ ვიღებთ. ჯერ წყნარად მივმართავთ, მაგრამ სიჩუმე... მეორედ უკვე ხმას ვუმაღლებთ და თითქმის ვყვირით, მაგრამ ისევ სიჩუმე... რამდენჯერ დაგიჭერიათ საკუთარი თავი იმაში, რომ საკმაოდ ხმამაღლა მივმართავთ (არ მინდა გამოვიყენო რეალობის გამომხატველი სიტყვა - ვყვირით): „გესმის? შენ ჩემი გესმის?“, თუმცა

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს პატარას არაჩვეულებრივი სმენა აქვს, მაშინ რატომ ხდება ასე?!

ამ ასაკისათვის დამახასიათებელია გარემოს შემეცნება, და თუ ამ პერიოდში პატარა ემიჯნება სამყაროს, გარე ინფორმაციას ზღუდავს- ამ გარემოებამ უნდა დაგვაფიქროს, რისთვის სჭირდება მას ასეთი მოქცევა. დაფიქრდით, ხომ არ ხართ მეტისმეტად მომთხოვნი, შესაძლებელია ერთსა და იმავეს ხშირად უმეორებთ. ისიც კი არის შესაძლებელი, რომ ფსიქოტიპები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს: შესაძლებელია თქვენ ძალზე ენერგიული, აქტიური ბრძანდებით, ხოლო თქვენი ბავშვი უფრო ნელი, ფრთხილი, მორიდებულია.

მშობლები რატომღაც დარწმუნებული არიან, რომ ბავშვს რაც შეიძლება ხშირად უნდა შეახსენოთ ერთი და იგივე. რეალურად კი ამით მხოლოდ ერთი შედეგი მიიღწევა. როდესაც ჩვენ ერთზე მეტჯერ, ვეუბნებით ერთსა და იმავეს, ქვეცნობიერად ასეთ სიგნალს ვუგზავნით: „მე არ მჯერა, რომ შენ ვერ გაიგე“. დარწმუნებული ვარ, რომ მშვენივრად გესმის”, „მე არ მჯერა, რომ შენ გააკეთებ





იმას, რასაც გეუბნები”, „მე არ მჯერა შენი პასუხისმგებლობისა, რომ შეიძლება რაიმე გააკეთო ჩემი გახსენებების გარეშე”.

მუდმივი შეხსენება, ანუ უნდობლობის გამოცხადება, ბავშვს უბიძგებს იმისკენ, რომ საწინააღმდეგო გააკეთოს. არ დაუშვათ ეს შეცდომა.

ბავშვთან ურთიერთობა როგორ დავამყაროთ ისე, რომ ნაკლები ველაპარაკოთ, მაგრამ ბავშვს მეტი ესმოდეს.

თუ თქვენს ბავშვს არ სურს რამეს გააკეთება უამრავი შეხსენების გარეშე, ეს ნიშნავს, რომ თქვენც ასე მიაჩვიეთ. ბავშვი ხვდება, რომ მას ბევრჯერ შეახსენებენ, სანამ იგი ვალდებული გახდება რაიმე გააკეთოს.



გსურთ, შეიმსუბუქოთ ცხოვრება, მიაჩვიოთ ბავშვი, რომ თქვენ გისმენდეთ?

უთხარით მხოლოდ ერთხელ, ყოველგვარი გამეორების გარეშე. მაგალითად, დაუძახეთ სადილად, თუ ის დროზე არ მოვიდა, თქვენ დაბრძანდით, მისი სადილიც ამოიღეთ, და შემდეგ გაცივებული კერძი რომ დახვდება, მშვიდად უთხარით, რომ მხოლოდ ერთხელ ეძახით. მთავარია თანმიმდევრულნი იყოთ თქვენს ქმედებებში და პირველ შედეგს უკვე ერთ კვირაში დაინახავთ.

ჩაატარეთ ასეთი პედაგოგიური ექსპერიმენტი: რამდენიმე საათის განმავლობაში საერთოდ არ მიმართოდ მას (აუცილებლობის გარეშე) დააკვირდით, გაიზრდება თუ არა მისი მეტყველებითი აქტივობა? გაუჩნდება კითხვის დასმის სურვილი?

## 7.

არის ასეთი საინტერესო მიმართულება „ლოგოპედიური რითმიკა“, რაც გულისხმობს სხვადასხვაგვარი მეტყველებითი დარღვევების კორექციის კომპლექსურ გადაჭრას.

ლოგორითმიკა კორექციულ-პედაგოგიური საქმიანობაა, რომლის საფუძველსაც მუსიკალური თანხლებით სიტყვებისა და მოძრაობების ურთიერთქმედება წარმოადგენს.

მეტყველებითი და მოძრაობითი ქმედებები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და კომპლექსში ბავშვის განვითარების მთელ რიგ ამოცანებს წყვეტენ. ერთი მხრივ, ხდება ბავშვის ფიზიკური თვისებების განვითარება - მოძრაობის კოორდინაციისა და წონასწორობის ფუნქციის გაუმჯობესება, სუნთქვითი და სისხლ-ძარღვთა სისტემებზე დადებითი ზემოქმედება. მეორე მხრივ, ლოგორითმიული ვარჯიშები ხელს უწყობს მეტყველებითი თვისებების განვითარებას, უმჯობესდება მეტყველების ტემპი, სუნთქვის რითმი, სმენითი ინფორმაციის აღქმის და მეხსიერების მუშაობა. ბავშვთა ფსიქოლოგები თვლიან, რომ მოძრაობის განვითარება მეტყველების განვითარების თანმხლები ფაქტორია, ანუ რაც უფრო მეტს მოძრაობს ბავშვი, მით უფრო ეფექტური შედეგი აქვს და შესაძლოა, აღდგეს მეტყველება.

მეტყველება ვითარდება ხდება მუსიკისა და სიტყვიერი მასალის სწორი შერჩევის დროს. სიტყვიერი მასალა უნდა შედგებოდეს პატარა ლექსებისა და ანდაზებისაგან. ამისათვის კარგად გამოდგება ხალხური ზეპირმეტყველების

ნიმუშები. ზოგიერთს შეიძლება სასაცილოდ არ ეყოს, მაგრამ ხალხური ზეპირმეტყველების ისეთი ნიმუშები, როგორცაა: „აჩუ, აჩუ ცხენო“, „ვინ შეჭამა ვენახი“ - ზუსტად ასეთ განვითარებაზეა მორგებული.

ამ ლექსებისათვის შესაფერისი რითმული, მაგრამ მსუბუქი მუსიკა ადვილად შესარჩევია, პატარა კი სიამოვნებით მოძრაობს და იმეორებს ამ სიტყვებს. ყურადღებიანმა მშობელმა მსგავსი ლექსების მაგალითები შეიძლება თვითონ შეარჩიოს.

ლოგოპედური რითმიკა, როგორც ლოგოპედური მუშაობის მეთოდი ფიზიკური ვარჯიშების, აუცილებელი სიტყვიერი მასალისა და მუსიკალური თანხლების გამოყენებით მიმდინარეობს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუსიკა არ წარმოადგენს რაღაც დამატებას, არამედ ლოგორითმიკის აუცილებელი კომპონენტია. ლოგორითმიკის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს ბავშვის ჰარმონიულ, ყოველმხრივ განვითარებას.

ლოგორითმიკის ვარჯიშები მრავალფეროვანი უნდა იყოს, ისინი აუცილებლად უნდა შეიცავდეს თითების ვარჯიშებსაც, რადგან ნატიფი მოტორიკის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული უმადლესი ნერვული სისტემის განვითარებასთან. ლოგორითმიკის ვარჯიშებში აუცილებლად უნდა ჩართოთ სხვადასხვა ტემპით სიარული. ტემპის შესაფერისი ლექსის თქმით, მუსიკის ტემპში სირბილი და ა.შ.

## 8.

აღზრდის კიდევ ერთი პრობლემა არსებობს: საჭიროა თუ არა ტოტალური კონტროლი? პრაქტიკულად ყოველი მშობელი ცდილობს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გააკონტროლოს თავისი შვილი. ქაოსი, მოუწესრიგებლობა არავის არ მოსწონს, მაგრამ, როდესაც „ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება“ – ცხოვრება მშვენიერია.

როდესაც თქვენი ორივე ბავშვი ერთდროულად იწყებს რამეს მოთხოვნას და რაც მთავარია, ეს ხდება სტუმრების თანდასწრებით, მშობლებს შიგნით „ყველაფერი უღუღო“, ამ დროს ერთი სურვილი უფლებათ – რაც შეიძლება სწრაფად განმუხტონ სიტუაცია. მშობლები ფიქრობენ იმაზე, რომ შეძლონ მისი გაკონტროლება, მაგრამ ჭეშმარიტება ისაა, რომ ბავშვს მუდმივად ვერ გააკონტროლებთ.

მშობლები, რომლებიც ცდილობენ, რომ შეიღებოს თვალყური მაქსიმალურად ადევნონ, იშვიათად აღწევენ შედეგს.

მშობელი, რომელიც სთხოვს ბავშვს ყველა მოთხოვნა შეუსრულოს, ხშირად გამოდის მდგომარეობიდან. რაც უფრო მეტად ცდილობთ ბავშვის „გაკონტროლებას“, მით უფრო მეტად შეეცდება იგი თქვენს „გაკონტროლებას“.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თუ დიქტატორივით იქცევით, ისიც ისე მოიქცევა და დადგება დრო, როდესაც ბავშვი თქვენზე ძლიერი დიქტატორი გახდება. ი, მაშინ დაიწყება თქვენს ოჯახში ანარქია. არ გეუბნებით, რომ ძალაუფლება ოჯახში შვილს გადააბაროთ. პირიქით, თქვენ უნდა ისწავლოთ დემოკრატიის დამყარება მშობლის ხელმძღვანელობით.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვები გააკეთებენ ყველაფერს, რაც სურთ. დედააზრი შემდეგში მდგომარეობს: თქვენ აკონტროლებთ საკუთარ ქმედებებს, ხოლო ბავშვი სწავლობს საკუთარი ქცევის კონტროლს, და თუ, აქამდე თქვენი აზრი იყო „მე უნდა გავაკონტროლო ბავშვი“, დღეიდან იფიქრეთ ასე: „მე ვაკონტროლებ მხოლოდ საკუთარ ქცევას“. მშობლები უნდა ცდილობდნენ, ხელი შეუწყონ საკუთარი ქცევის ჩამოყალიბებას, ნაცვლად იმისა, რომ აიძულონ ბავშვი კარგად მოიქცეს.

აღზრდის მიზანი და სტრატეგია: როგორ გავათავისუფლოთ პიროვნება ცუდი ქცევებისაგან.

ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც კონტროლის აღდგენის და კარგი ქცევის დაბრუნების საშუალებას იძლევა, არის „ყურადღების გადატანა“. ეს გულისხმობს შემდეგს: თუ, თქვენ არ მოგწონთ ბავშვის ქცევა, მისი ყურადღება რამე პოზიტიურზე უნდა გადაიტანოთ.

თქვენ შეგიძლიათ სწრაფად განმუხტოთ სიტუაცია და დაამყაროთ კონტროლი, თუ პატარას არჩევანის წინაშე დააყენებთ. თუ პატარას სურვილი აქვს რამე თქვენთვის მიუღებელი გააკეთოს, „არას“ ნაცვლად სხვა, მისთვის საინტერესო უნდა შესთავაზოთ.

არაეფექტურია ბავშვის ქცევის კონტროლი, მაგრამ თუ ბავშვის ნაცვლად სიტუაციას გააკონტროლებთ – მიიღებთ კარგ შედეგს.

აჩვენეთ და აუხსენით თქვენს ბავშვს, როგორ შეიძლება თანატოლებთან კარგად და უსაფრთხოდ თამაში. თქვენ ბავშვს ვერ აიძულებთ იქცეოდეს საუკეთესოდ, მაგრამ შეიძლება აღზარდოთ მასში კარგი მანერები და კეთილგანწყობა.

ბავშვზე პოზიტიური გავლენის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია – ვაგრძნობინოთ, რამდენად ღირებულია ის ჩვენთვის.

ადამიანისთვის აუცილებელია, რომ სხვისთვის იყოს საჭირო, ბავშვიც არ არის გამონაკლისი. მისი ქცევა რომ შევცვალოთ, საკმარისია ვაგრძნობინოთ, რომ ის გვჭირდება და გვიყვარს. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, საკმარისია, დედამ უთხრას პატარას: „დამეხმარე მაგიდის გაწეობაში“ ან „მოდი ერთად გავაკეთოთ სადილი, შენს გარეშე ვერ შევძლებ“ და ბავშვს საკუთარი კაპრიზები მაშინვე ავიწყდება.

არასასურველია და შეუძლებელიცაა ბავშვის ქცევის კონტროლი. ამის ნაცვლად ხელი შეუწყეთ, რომ კარგი ქცევა ჩამოუყალიბდეს, ღირსეული ურთიერთობები დაამყაროს. მერწმუნეთ, ამაზე დახარჯული ენერჯია

გაათმაგებელი და გაასმაგებელი სიკეთით დაგიბრუნდებათ. ამის შედეგია მყარი ოჯახი და ჯანსაღი გარემო, რაც ბავშვის მომავალი ბედნიერების საწინდარია.

## 9.

მივაჩვიოთ ბავშვი წესრიგს...

წესრიგისა და სისუფთავის სურვილი ადამიანს, როგორც წესი, მოზარდობის ასაკში უყალიბდება. არავის აქვს იმედი, რომ 2-3 წლის პატარა გრძნობს პასუხისმგებლობას სახლში წესრიგის დაცვაზე.

ნივთებისა და სათამაშოების მოწესრიგება პედანტურ ბავშვებს უყვართ. ასე, უმეტესად, გოგონები იქცევიან. მსგავს ქცევას მეორე მხარეც აქვს – ბავშვი უინიციატივო, პასიური არის. ბავშვს, რომელიც გატაცებით, საინტერესოდ თამაშობს, თამაშის დამთავრების შემდეგ არ შეუძლია უცებ რეალობას დაუბრუნდეს და დაიწყოს სათამაშოების დალაგება. ამ შემთხვევაში, სათამაშოები როგორც წესი, იქვე რჩებიან, სადაც დაავიწყდათ. უფრო რთულია ნელი, ინფანტილური ბავშვის ორგანიზება. არადა, ასეთი ბავშვების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

წესრიგის დამყარება, დალაგების სიძნელეები ჩვეულებრივი ასაკობრივი ნორმაა, ხოლო ისეთი უნარის, როგორცაა დალაგების გამოვლენა – სასიამოვნო მოულოდნელობა.

ბავშვს ჯერ არ გააჩნია განსხვავების უნარი, წესრიგისა და უწესრიგობას, სისუფთავესა და უსუფთაობას შორის. ამ ასაკში მისი სურვილი – მიიღოს მონაწილეობა დალაგებაში - მხოლოდ უფროსისაგან შექების მიღების სურვილით არის განპირობებული. მაშ, რა ვქნათ? არ მივაჩვიოთ პატარას წესრიგს? არ ჩამოვუყალიბოთ მომავალში ასე საჭირო უნარ-ჩვევები? რა თქმა უნდა, უნდა ვასწავლოთ.

სისუფთავის უნარი ყველაზე კარგად ყალიბდება, თუ ბავშვი უფროსთან ერთად აკეთებს რამეს, ან თუ მივმართავთ თამაშის ელემენტებს. პატარებს განვითარებული აქვთ მიმბაძველობის უნარი, ისინი ჩვენს ქმედებებს, სიტყვებს, ქცევას იმეორებენ. თუ მშობლები ტანსაცმელს აქეთ-იქით ყრიან, ერთად უდევთ სუფთა და ჭუჭყიანი წინდები, ფეხსაცმელს ოთახში იხდიან, ნუ ექნებათ იმედი, რომ მოწესრიგებულ, სისუფთავის მოყვარულ, ორგანიზებულ ადამიანს გაზრდიან.

ბავშვში რაიმე უნარის ჩამოყალიბება გულისხმობს, რომ ეს უნარი ოჯახის სხვა წევრებსაც გააჩნიათ. რადგან ბავშვის სოციალური ქცევის მექანიზმების განვითარება არის უფროსების მიბაძვა, აღზრდის ყველაზე მარტივი გზაა უბრალოდ დაიყენოთ გვერდით, აჩვენოთ და ერთად აკეთოთ. ეს ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მრავალრიცხოვანი ისტორიების მოყოლა, რომელშიც კარგი და ცუდი ბავშვები ფიგურირებენ.

დავიმახსოვროთ ერთი: რამდენიც არ უნდა ელაპარაკოთ ბავშვებს წესრიგზე, თუ თვითონ არ იცავთ წესრიგს, თქვენს საუბრებს არავითარი ეფექტი არ ექნება.



სასურველია უფროსებმა რამდენიმე რჩევა გაითვალისწინონ:

- თუ შესაძლებელია, უნდა გამოვყოთ ტერიტორია, რომელზეც ბავშვს შეუძლია თამაში. ამ ადგილში არ უნდა შედიოდეს სამზარეულო, აბაზანა, უფროსების კაბინეტი ან საძინებელი.
- დალაგების პროცესმა არ უნდა შეწყვიტოს ბავშვის თამაში. თუ იატაკზე ნახევრად აშენებული სახლი დარჩა, არ შეიძლება მისი დანგრევა, თქვენ შემოქმედებით პროცესს უშლით ხელს. ასევე ნუ დაიწყებთ დალაგებას, თუ თქვენს პატარას სტუმარი ჰყავს ან რაიმე ძალზე საინტერესო საქმით არის დაკავებული. ამ შემთხვევაში მის ჩართვას დალაგების პროცესში ექნება ძალდატანების ხასიათი და შესაბამისად, ნეგატიური ელფერი.
- თუ აწესრიგებთ ბავშვის კუთვნილ ტერიტორიას, არ დაიწყეთ ეს ბავშვის გარეშე. მას არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ მის მოვალეობას სხვა ასრულებს. ბავშვის დახმარება, ალბათ ძალზე უმნიშვნელო იქნება, მაგრამ თქვენ აუცილებლად ხაზი უნდა გაუსვათ ერთობლივ სამუშაოს. არ



დაგავიწყდეთ ბავშვისთვის მადლობის თქმა, მის გარეშე ხომ გაგიძნელებოდათ ასე კარგად და სწრაფად მილაგება. შეიძლება ასევე სთხოვოთ, რომ დაგეხმაროთ უფროსების ნივთების დალაგებაშიც.

- ცუდი არ იქნება თუ პატარაობიდან თქვენს ბავშვს რამე მუდმივი დავალება ექნება: ყვავილების მორწყვა, მტერის გადაწმენდა და ა.შ. ამასთანავე, ეს დავალება „უფროსების საქმეებიდან“ უნდა იყოს. მუდმივი დავალება ბავშვს ოჯახის ცხოვრების რითმში ჩართვაში უწყობს ხელს, იგი გრძნობს, რომ ოჯახის სრულუფლებიანი წევრია (მაგალითად, ჩემი პატარა შვილიშვილები თვითონ მასხენებენ, რომ ყვავილებს წყურიათ და უნდა მოვრწყათ).
- არც ისე ადვილია პირადი ჰიგიენის უნარების ჩამოყალიბება. აჩვენეთ ბავშვს, სად უნდა დადოს ჭუჭყიანი ტანსაცმელი, სად დევს სუფთა ნივთები. სასიამოვნო რიტუალად შეიძლება გადაიქცეს ძილის წინ კბილების გახეხვა, დაბანა, მაგრამ ეს არ უნდა გაიწელოს დროში და არ უნდა გახდეს ბავშვის აღზუნების საბაბი, რათა არ გაუძნელებს დაძინება.

ზოგიერთი უფროსი თვლის, რომ ბავშვობა უღრუბლო, უზრუნველი უნდა იყოს. ეს ძირეულად არასწორი მიდგომაა. უცილებელია, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მისი ჩაბმა ოჯახურ საქმიანობაში.



ერთობლივი საქმიანობა ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, ყურადღების საფუძველია. ზემოთ ჩამოთვლილი უნარების ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ თქვენ თუ თანმიმდევრული იქნებით, შედეგიც არ დააყოვნებს.

## 10.

როგორ გადაეცემა უფროსის განწყობა ბავშვებს. განწყობა-საინტერესო ფსიქოლოგიური მოვლენაა. გაუგებარია, როგორ ჩნდება, მაგრამ, როგორც წესი, დიდხანს გვაქვს; შეიძლება ერთი დღე, შეიძლება რამდენიმე. თუ ასეთ გრძნობებს, როგორცაა აღტაცება, სიხარული, ბრაზი გარკვეული საფუძველი გააჩნია, განწყობა უბრალოდ ემოციური ფონია, რომელიც გაუთვითცნობიერებლად ჩნდება, მაგრამ ბევრს განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებაში. განწყობის შექმნა – მთელი ხელოვნებაა, ადვილად შეიძლება რამე უმნიშვნელო დეტალმაც კი განწყობა შეგვიცვალოს. როდესაც ადამიანი კარგ ხასიათზეა, „მას ცხოვრება უხარია“, მომავლისა და წარმატების რწმენა აქვს და, საერთოდ, ყველაფერი კარგად არის. ცუდი განწყობის დროს კი, შინაგან დაძაბულობას გრძნობს, ამ დროს ადამიანი გაღიზიანებულია, რაც ნეგატიურად მოქმედებს როგორც მასზე, ასევე

გარშემომყოფებზეც, მისი განწყობა სხვასაც გაუცნობიერებლად ემოციურად გადაეცემა. სამსახურში უსიამოვნება, შესაძლოა სახლში გაღიზიანების მიზეზი იყოს. კონფლიქტი უფროსებს შორის გამოწვეულია საკუთარი თავითა და ყველაფრის გამო უკმაყოფილებით.

ადამიანების ნაწილი განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა, მათ სენზიტიურ ადამიანებს უწოდებენ, ზოგიერთი, პირიქით, ემოციური ლიდერია და შექმნილი ემოციური ფონის შეცვლა შეუძლია.

ოჯახში ყველაზე მგრძობიარენი, როგორც წესი, ბავშვები არიან, როგორც ბუნებასთან უფრო ახლოს მდგომი არსებები. მათზე ჯერ არ მოქმედებს რაციონალიზაციის წნეხი, ისინი არ ქმნიან ლოგიკურ წრედებს: რა ხდება, რატომ ხდება, ამას რა შედეგი ექნება? და სხვ., მაგრამ ოჯახში შექმნილ რთულ ვითარებას გრძნობენ. ბავშვი რეაგირებს იმაზე, რასაც უფროსმა ზოგჯერ შეიძლება არც მიაქციოს ყურადღება: ინტონაციას, სახის გამომეტყველებასა და სხვ.

განწყობა არ არის რაციონალური, იგი ირაციონალურია, მაგრამ ინტონაციით გადმოცემა იგი. შეეცადეთ რამდენიმეჯერ წარმოთქვათ ფრაზა „ჩემო ძვირფასო“ და დარწმუნდებით, რომ იგი შეიძლება სიყვარულის, ირონიის, სარკაზმის გადმოცემი იყოს, ბავშვები უმაღლეს გრძნობენ ფრაზის ფარულ მნიშვნელობას. მიაქციეთ ყურადღება, როგორ იქცევა პატარა, თუ ოჯახში დაძაბული სიტუაციაა, იგი ჩუმდება, თამაშობს ჩუმად სადღაც დამალული ან პირიქით, ხდება გამომწვევი, ხმამაღლა ითხოვს ყურადღებას, არამოტივირებულია.

ყველაზე ხშირად ოჯახში ემოციური ლიდერი დედაა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ბებია, და იშვიათად, მამაკაცი. ბავშვისა და დედის კავშირი ფიზიოლოგიური მექანიზმებით, ბუნებრივად ბავშვის დაბადებამდე მყარდება. დედის ხმის ტემბრი, ინტონაცია, შინაგანი განწყობა – ყველაფერი ეს ბავშვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელია.

შეუძლებელია ყოველთვის კარგ განწყობაზე იყოთ, მაგრამ შესაძლებელია, განწყობა შეცვალოთ თქვენს ცნობიერებაში და ამით მიკროკლიმატი ოჯახში გააუმჯობესოთ.

განწყობაზე მუშაობა ორ მიმართულებას გულისხმობს: საკუთარ თავისა და სხვებისთვის.

რამდენიმე რჩევა განწყობაზე მუშაობისათვის:

- თუ ამჩნევთ, რომ ხშირად ცუდ ხასიათზე ხართ, დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: „რას ვგრძნობ ახლა?“, პასუხისათვის რაც შეიძლება ზუსტი სიტყვა მოძებნეთ – დადლილობას, გაღიზიანებასა თუ ბრაზს. ეს კითხვა გაიმეორეთ მაშინვე, როგორც კი შინაგან დაძაბულობას იგრძნობთ ანუ, როცა შიგნით რაღაც გიშლით ხელს, შეეცადეთ დაადგინოთ მიზეზი, თუ რა ხდება. რა მომენტში შეგეცვალათ განწყობა, შესაძლებელია ეს ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული, მაგალითად, ხელმძღვანელთან (თუნდაც დედამთილთან) შეხვედრა არ რამე სხვა. თუ ამას დაადგენთ, მომავალში ასეთი შეხვედრისათვის წინასწარ ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოთ.
- მეორე შეკითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვათ: რისი შეცვლა მინდა და რა შემიძლია? არ არის საჭირო, ყოველთვის ერთი და იგივე შეცდომა დაუშვათ, თუ დაადგინეთ ცუდი განწყობის მიზეზი, შეეცადეთ რამე შეცვალოთ, მაგალითად - ტრანსპორტის მარშრუტი.
- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენი გაღიზიანება ან ცუდი განწყობა ბავშვებმა საკუთარ თავზე არ გადაიტანონ, არ ჩათვალონ, რომ ისინი არიან ამის მიზეზი. ამიტომ, აუცილებელია ბავშვის ემოციური სამყაროს გამდიდრება. ზოგიერთს ძალზე მწირი წარმოდგენა აქვს სხვა ადამიანების შინაგან განწყობაზე (მაგ. ადამიანი კეთილია ან ბოროტი).

- მიეცით ბავშვს საშუალება მოყვეს საკუთარ განწყობაზე, მოახდინოს შედარებები – შეადაროს საკუთარი თავი ამინდს, წელიწადის დროს, ყვავილს, ცხოველს, რომელიმე უსულო საგანს. ბავშვმა უნდა ისწავლოს ემოციების განსხვავება: ბრაზი და სევდა, წუხილი და იმედგაცრუება და ა.შ.
- შეეცადეთ შემდეგ აუხსნათ ბავშვს თქვენი განწყობის მიზეზი, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს არ გაუჩნდეს დანაშაულის გრძობა, ესაუბრეთ მისთვის გასაგებ ენაზე, აუხსენით რა ხდება თქვენს სამსახურში, სახლში. რა იწვევს თქვენს წუხილს, რა ამოცანები უნდა გადაჭრათ, ბავშვს უნდა შეექმნას წარმოდგენა სამყაროს სირთულისა და არაერთგვაროვნების შესახებ. აზრსმოკლებულია ემოციურ მდგომარეობასთან ბრძოლა, თქვენ უნდა შეძლოთ, რომ არ უარყოთ ემოციები ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ შეძლებთ მათ მართვას და არა პირიქით. ოჯახში შეიძლება მოხდეს კონფლიქტი, მაგრამ მშობლები უნდა ცდილობდნენ, რომ ბავშვი არ გახდეს უფროსების, მით უმეტეს მშობლებს შორის „გარჩევების“ მოწმე.
- არსებობს ოჯახური კონფლიქტების გადაწყვეტის რამდენიმე წესი: კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სასურველია, ბავშვი არ გახდეს კამათის მოწმე, მაგრამ თუ ეს გარდაუვალია, გახსოვდეთ, არც ერთი დავა, კონფლიქტი არ უნდა ეხებოდეს ოჯახის მთლიანობას. ახლა კი წესები:
- კატეგორიულად იკრძალება გამონათქვამები, რომლებიც ხელყოფს მამის ან დედის სტატუსს, მათ მიერ მშობლის ან მეუღლის მოვალეობების შესრულების უგულებელყოფას, არ შეიძლება ბავშვს ესმოდეს მშობელზე ასეთი გამონათქვამები: „რომ მცოდნოდა, რომ ასეთი ... ხარ, „ვინ წარმოიდგენდა, რომ შენ შეგიძლია ასე... მოქცევა“.
- არ გადაიტანოთ ნეგატიური განწყობა ოჯახის სხვა წევრებზე: უფროსებზე („ხედგამოჭრილი დედაშენი ხარ“; „ასეთი დედის ან მამის შვილისგან რას

უნდა ელოდე”) ან ბავშვებზე („არ გამიკვირდება, თუ მისგან, ღმერთმა იცის, ვინ გაიზრდება”).

- კონფლიქტი კონკრეტული სიტუაციით არის გამოწვეული და მის ირგვლივ უნდა ვითარდებოდეს. არ შეიძლება კონკრეტული სიტუაციისა თუ ქმედების განზოგადება. დაგვიანება არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე ოჯახზე არ ფიქრობს და თუ უმნიშვნელო ნივთი გატყდა, არც ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ უსაკმური და მოუხერხებელია, ამიტომ, გამონათქვამები: „შენ ყოველთვის ასე იქცევი”, „შენ ყოველთვის ასე ამბობ”, „შენ ყოველთვის გავიწყდება” – მიუღებელი, კატეგორიულად მიუღებელია.
- პრეტენზიები უნდა გამოითქვას ისე, რომ მათში ფიგურირებდეს არა „შენ” , არამედ „მე” ან „ჩვენ”. მაგალითად: „მე მეწყინა, რომ შენ დაგავიწყდა... მე მქონდა იმედი, რომ შენ...”, „ეს ჩვენი პრობლემაა...” და ა. შ...
- კონფლიქტის დროსაც კი მხარეებს არ უნდა ავიწყდებოდეს თავიანთი სქესისთვის დამახასიათებელი ქცევები. ყვირილი, ისტერიკა, ყოველთვის არასასიამოვნო კვალს ტოვებს, მაგრამ უფრო ამაზრზენია, როდესაც ასე იქცევა მამაკაცი. თუმცა, ასევე მიუღებელია ქალისათვის ზედმეტი სიტყვები, ფიზიკური ძალადობის გამოვლენა და სხვ.

რა თქმა უნდა, უკეთესია, რომ კონფლიქტები ოჯახში რაც შეიძლება იშვიათი იყოს, მაგრამ ჩვენ არ ვართ დაცული ემოციური რეაქციებისგან. ენერგიულ, ემოციურ „გარჩევებსაც”, თუ ისინი ხშირი არ არის, აქვს დადებითი მხარე, მაგრამ გახსოვდეთ, მეუღლეებს შორის კამათი არის ერთ-ერთი გაკვეთილი თქვენი ბავშვისათვის – როგორ უნდა მოიქცეს მომავალში ოჯახში.

სკოლამდელების აგრესიულობა.

ფსიქოლოგებს, სკოლამდელების აგრესიულობაზე ჩივილი ყველაზე სშირად ესმით მშობლებისა და აღმზრდელებისაგან, აგრესიული ქცევა გულისხმობს სოციალური ან საგნობრივი სამყაროსათვის არამოტივირებული ზიანის მიყენებას. მკვლევრების ნაწილი თვლის, რომ სკოლამდელების აგრესიულობის მიზეზი ოჯახში აღმზრდელობითი სტილის ზემოქმედებით გამოწვეული ემოციური არასტაბილურობაა.



უფროსების ქმედების გამო, რომელსაც ბავშვი როგორც უსამართლოს აღიქვამს, თავის აგრესიულობას სხვა ობიექტისკენ მიმართავს – საგნებზე, ნაკლებად დაცულ ნათესავებზე (ბები, უფროსი და-ძმა), ცხოველებზე,

მცენარეებსა და სხვა. რაც უფრო მკაცრ მოთხოვნას ვუყენებთ ბავშვს, მით უფრო აგრესიულად იქცევა იგი.

მშობლებს შორის გამოკითხვა ჩაატარეს, თუ როგორ სჯიან ოჯახში ბავშვს. ყველა პასუხი ორ ჯგუფად დაიყო. პასუხები, რომლებიც შეიცავდა გამონათქვამებს: - „ვცემ, კუთხეში ვაყენებ, ოთახში ვკეტავ, ვუკრძალავ იმას, რაც სიამოვნებს” - მიაკუთვნეს დასჯის მკაცრ მეთოდებს. პასუხები, რომლებიც შეიცავდა გამონათქვამებს:- „ვცდილობ ყურადღება სხვა რამეზე გადავიტანო”, „ავუხსნა”, „დავარწმუნო“- მიჩნეულია ბავშვებზე ზემოქმედების რბილ ზომად.

შედეგების სტატისტიკურმა დამუშავებამ აჩვენა, რომ ბავშვების აგრესიულობის დონე უფრო მაღალია იმ ოჯახში, რომელშიც გამოიყენება დასჯის მკაცრი ზომები. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეხება გოგონებს. ბიჭები აგრესიულობას თანაბრად იჩენენ ორივე ჯგუფში, დასჯის მეთოდების მიუხედავად, ეს ნიშნავს, რომ გოგონების მკაცრი დასჯა სახიფათოა – ის სისასტიკე, რომელსაც ისინი მშობლებისაგან იღებენ, მაშინვე სხვა ობიექტზე გადააქვთ. ბიჭების მკაცრად დასჯას აზრი არა აქვს – ეს პრაქტიკულად არ მოქმედებს მათ ქცევაზე, რომელიც უფრო შინაგანი მიზეზებით განისაზღვრება. მაგრამ გოგონებსა და ბიჭებშიც მკაცრმა დასჯამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნევროზების (ენურეზი, შიშები) ჩამოყალიბებას.

კიდევ რამ შეიძლება გამოიწვიოს სკოლამდელი ასაკის ბავშვების აგრესიულობა? ეს შეიძლება იყო საკუთარი თავით უკმაყოფილება, სიყვარულის დეფიციტი საკუთარი თავის მიმართ, რაც განმტკიცებულია მშობლების ემოციური დამოკიდებულების არარსებობით: - არ აქებენ, არ ეფერებიან, არც სიტყვით და არც ქცევით. ემოციური დეპრივაცია, როდესაც ბავშვს არ სჯიან, მაგრამ ამავე დროს არც არასდროს აქებენ, ბავშვების აგრესიულობის მიზეზია. ბავშვის შექება ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, და ნიშნავს, რომ ბავშვი, როგორც პიროვნება, ღირებულებას წარმოადგენს ოჯახისათვის.



ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩაატარეს გამოკითხვა. მიღებული პასუხების მიხედვით მშობლები დააჯგუფეს ორ გუნდად იმის მიხედვით, თუ როგორ ახალისებენ ბავშვს და რისთვის. პირველ ჯგუფს მიაკუთვნეს მშობლები, რომლებიც ბავშვს აქებენ მხოლოდ კონკრეტული კარგი საქციელის გამო, მეორე ჯგუფს მიაკუთვნეს ის ოჯახები, რომელშიც ბავშვის შექება უფრო ემოციური და ხშირი იყო, შესაძლოა, უმიზეზოდაც კი.

აღმოჩნდა, რომ ემოციურ შექებასა და აგრესიულობას შორის ძალზე მჭიდრო კავშირია, რაც უფრო ნაკლებად აქებენ ბავშვს, მით უფრო აგრესიულია იგი. ეს თანაბრად ეხება როგორც ბიჭებს, ისე გოგონებს, თუმცა გოგონები რეაგირებენ უფრო ემოციურად. მშობლების არაემოციურობა კი, მათი სულიერი სიცარიელე, უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე მკაცრი დასჯა.

ბავშვი შეიძლება განიცდიდეს რომ დაისაჯა უსამართლოდ, მაგრამ ის გრძნობს, რომ ოჯახის წევრია. ხოლო თუ მას არასდროს აქებენ, ამას აღიქვამს, როგორც უგულვებლყოფას და ეს მისთვის უფრო სასტიკი დასჯაა.

## 12.

ბავშვმა მოიტანა სხვისი სათამაშო.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ ბავშვს სხვისი სათამაშო მოაქვს საბავშვო ბაღიდან, საახალწლო ზეიმიდან, ეზოდან. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, იწყებს „ქურდობას“. როგორ მოვიქცეთ, დავსაჯოთ, თუ არის სხვა უფრო ეფექტური გზა? 4-6 წელი არის ზნეობრივი უნარების ჩამოყალიბების ასაკი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს უნარები უკვე განმტკიცებულია. როგორც წესი, ბავშვი უკვე ასხვავებს ცნებებს - „ჩემი“ და „სხვისი“, აქვს წარმოდგენა საკუთრებასა და პირად

სივრცეზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ბავშვისთვის რთულია იმპულსური სურვილების მოთოკვა, რის გამოც მან შეიძლება არც ისე ლამაზი საქციელი ჩაიდინოს.

სანამ ბავშვის ქცევას შეაფასებთ, შეეცადეთ გაერკვეთ, რა ხდება სინამდვილეში. ხომ არ ბაძავს ბავში ჩვენს საზოგადოებაში ესოდენ გავრცელებულ „წესიერებას“, ზოგიერთ უფროსს, რომელიც არ ასხვავებს თავისას და სხვისას. უფრო ყურადღებით დააკვირდით როგორც საკუთარ, ასევე ოჯახის წევრებისა მათი მეგობრების ქცევას.

თუ ბავშვმა სხვისი სათამაშო მოიტანა, პირველ რიგში გაარკვიეთ, ხომ არ გაცვალა ის თავის ნივთში? სათამაშოების გაცვლა ბავშვებისათვის ძალზე დამახასიათებელი ქმედებაა. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვისათვის სათამაშოს მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული მის რეალურ ღირებულებაზე.



თუ ბავშვმა სათამაშო საბავშვო ბაღიდან მოიტანა, შესაძლოა ასე იგი საკუთარ სურვილს ახორციელებს. სათამაშო აუცილებლად უნდა დააბრუნოთ,

მაგრამ დაფიქრდით: შეიძლება უყურადღებობას იჩენთ ბავშვის მოთხოვნილებების მიმართ. რა თქმა უნდა, ყველა სურვილი და ე.წ. „კაპრიზი“ არ უნდა შეუსრულოთ, მით უმეტეს მაშინვე, მაგრამ თუ ბავშვს ხანგრძლივი, მდგრადი სურვილი აქვს, სასურველია იპოვნოთ მიზეზი (დაბადების დღე, რაღაც წარმართება) და სურვილი აუსრულოთ.

უფრო რთული ვითარებაა, თუ მან მოიტანა სხვა ბავშვის სათამაშო, შეეცადეთ გაარკვიოთ თქვენს ბავშვსა და სათამაშოს პატრონს შორის ურთიერთობების ნიუანსები. შესაძლებელია, სათამაშოს მოტანა ყურადღების მიქცევის მცდელობაა და თქვენს ბავშვს სათამაშოს პატრონთან დამეგობრება სურს ან პირიქით, სათამაშოს პატრონი გარიყულია და უგულვებელყოფილი. მნიშვნელოვანია, როგორ აღმოაჩინეთ უცხო სათამაშო – შემთხვევით დაინახეთ, საგნებს შორის დამალული, თუ ბავშვმა თვითონ გაიმბოთ იმის შესახებ, რაც მოხდა. თვითონ ბავშვი რას გრძნობს – სინდისის ქეჯნას, უხერხულობასა თუ თელის, რომ არაფერია უჩვეულო. თუ ვერ შეამჩნიეთ წუხილი მომხდარის გამო, მაშინ თქვენი რეაქცია მკვეთრი, მკაცრი უნდა იყოს: ბავშვმა უნდა დაინახოს, რომ თქვენ არ მოგეწონათ მისი საქციელი, რომ გიკვირთ, ასე როგორ მოიქცა. გამოთქვით მტკიცე რწმენა, რომ იგი უკვე დიდია და არჩევს ცუდსა და კარგს და იმედოვნებთ, რომ ასეთი საქციელი აღარ განმეორდება.

თუ ბავშვმა იცის, რომ არასწორად მოიქცა, ქცევის შეფასების დროს შეეცადეთ ყურადღება გაამახვილოთ ბავშვის იმ ემოციებზე, რომლებსაც სათამაშო დაეკარგა და სტრატეგიის შემუშავებაზე, თუ როგორ დააბრუნოთ სათამაშო. ხშირად ცუდი საქციელის აღიარების შიში და შეუძლებლობა, ყველაფერი უკან დააბრუნოს, ბავშვს თითქოს უფრო გულგრილს ხდის. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ, რომ ბავშვი სხვების თანდასწრებით გააკიცხოთ, ბოდიშის მოხდის დემონსტრირებაც არ არის აუცილებელი. შეეცადეთ იმის ორგანიზება, რომ ორი ბავშვის შეხვედრა უფროსების გარეშე მოხდეს. კარგი იქნება, თუ თქვენი ბავშვი

შესთავაზებს თავისი ნივთებით თამაშს, ან დროებით სახლში წადებას, თუ მეორე ბავშვს მოუნდება.

იშვიათია შემთხვევები, როდესაც პატარა ბავშვები მშობლებისაგან დაუკითხავად ფულს ან საუზმეს იღებენ. სასწრაფოდ უნდა გაარკვიოთ ამის მიზეზი, რადგან ეს ერთ-ერთი ყველაზე არასასიამოვნო ვარიანტია – თუ მოზარდები აიძულებენ. ასეთ შემთხვევაში ამის აღკვეთა უფროსების მოვალეობაა.

თქვენი შვილი არ უნდა განიცდიდეს შიშს, ზეწოლას, არ უნდა აღმოჩნდეს მსხვერპლის როლში. თუ ასეთი რამ მოხდა, არ შეიძლება ბავშვის გაკიცხვა, მას თქვენი მხარდაჭერა სჭირდება.

მეორე ვარიანტი – თუ ბავშვი იღებს ფულს, რათა მეგობრებს უყიდოს საჩუქრები, როგორც წესი, ეს ხდება საკუთარი სტატუსის ასამაღლებლად. აუხსენით ბავშვს, რომ ნამდვილი მეგობრები ურთიერთობენ საჩუქრების გარეშეც. დაეხმარეთ ბავშვს სტატუსის ამაღლებაში სხვა ხერხების გამოყენებით: მოიწვიეთ მისი მეგობრები, ითამაშეთ ყველასთან ერთად, ამავე დროს ხაზი გაუსვით, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის აზრი თქვენთვის.

შესაძლოა, ვერ გაარკვიოთ, რისთვის იღებს ბავშვი ფულს, მაშინ აგრძნობინეთ, რამდენად დაგწყდათ გული, აუხსენით რისთვის იყო განკუთვნილი ეს ფული და ახლა მოგიწევთ რამეზე უარის თქმა.

ყოველთვის არ არის გასაგები ფსიქოლოგიური მიზეზები, რომლებიც იწვევენ ზემოთ აღწერილ ქცევებს. მაგრამ რა მიზეზებითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული, აუცილებელია რამდენიმე წესის დაცვა:

- არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვისათვის რამე იარლიყის მიკერება, არ დაუძახოთ ქურდი, არ უწინასწარმეტყველოთ კრიმინალური მომავალი და ა.შ.
- არ შეადაროთ თქვენი ბავშვი სხვა ბავშვებს ან საკუთარ თავს ამ ასაკში. დაუშვებელია ასეთი სახის გამონათქვამები: „როგორ მშურს სხვა“

მშობლების, რომლებსაც ასეთი შვილი არა ჰყავს”, „ჩვენს ოჯახში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა” და ა.შ.

„სამართლიანობის” აღდგენის მიზნით არ აიძულეთ დათმოს თავისი საყვარელი სათამაშო.

ბავშვის საქციელზე საუბრის დროს ნუ „გადაღუნავთ ჯოხს”, ამის გამო მან მომავალში შესაძლოა დაგიმალოთ ბევრი რამ, მით უმეტეს ის ქცევები, რომლებიც, მისი აზრით, არც ისე ლამაზია.

არასოდეს დაუბრუნდეთ იმას, რაც იყო, თუ ბავშვის ქცევა მომავალში არ მოგეწონებათ, გახსოვდეთ, რომ ბევრი რთული სიტუაციის გამოსწორება შეიძლება, მთავარია გამონახოთ სწორი ფსიქოლოგიური მეთოდები.

### 13.

როგორ მოვიქცეთ, თუ ვთვლით, რომ ჩვენი ბავშვი გამორჩეულად ნიჭიერია და სხვა ამას ვერ ხედავს, არ ესმის ჩვენი შვილის, ასეთი სიტუაცია შეიძლება მოხდეს საბავშვო ბაღშიც. რა ხერხს მივმართოთ?

პირველ რიგში, უნდა შევეცადოთ სიტუაცია ყველა მხრიდან განვიხილოთ, მასში მონაწილე ყველა ადამიანის თვალსაზრისი გავითვალისწინოთ. თვლიან, რომ მათი შვილი განსაკუთრებულია: თავისი ასაკისათვის ძალზე კარგად მეტყველებს, სიტყვების დიდი მარაგი აქვს, ბევრი ლექსი და ზღაპარი იცის. სკოლამდელ ასაკში ყველა ბავშვის საყვარელი კითხვაა - „რატომ?” ის კი მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით გამოირჩევა, მისი კითხვები ხშირად უჩვეულოა. მშობლებს აქვთ მიზეზი, იამაყონ შვილით.

რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეთ სხვებს ასეთ ბავშვთან ურთიერთობის შემთხვევაში? თავის ასაკობრივ ჯგუფში ბავშვი შეიძლება მართლაც გამოირჩეოდეს, სხვებთან შედარებით უფრო განვითარებული და დამოუკიდებელი

იყოს. შესაძლებელია, მისთვის, მართლაც, არ იყოს საინტერესო ის, რაც მის თანატოლებთან ხდება. უფროს ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება თავი სხვა პრობლემებმაც იჩინოს. ბევრი კარგად ართმევს თავს დავალებებს, რომლებიც შემეცნებით სფეროსთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც კი სხვა დავალებებია შესასრულებელი, პატარა ვერ ძლევს მათ და როგორც წესი, უარს ამბობს შესრულებაზე. ამ შემთხვევაში, აღმზრდელები თვლიან, რომ მისი ნიჭიერება მხოლოდ მშობლების ფანტაზიის ნაყოფია.

როგორ გავარკვიოთ, ვინ არის მართალი? და რაც მთავარია, როგორ დავეხმაროთ ბავშვს?

პირველ რიგში, გავარკვიოთ რა არის ნიჭიერება. პედაგოგთა უმეტესობა თვლის, რომ ნიჭიერება გამოიხატება მეტყველების ადრეულ განვითარებასა და სიტყვების დიდ მარაგში. ამას ემატება ყურადღება, ცნობისმოყვარეობა და კარგი მეხსიერება. ყველა ეს თვისება ბავშვის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს, მაგრამ ნიჭიერება უფრო ფართო ცნებაა და არ არის დამოკიდებული მხოლოდ ინტელექტზე. ნიჭიერება დაკავშირებულია ბავშვის პოტენციურ შესაძლებლობებზე ერთ ან რამდენიმე სფეროში.

ბავშვთა ფსიქოლოგები გამოყოფენ ნიჭიერების ექვს სფეროს:

- მოძრაობითი სფერო – ბავშვი დიდ ინტერესს იჩენს იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ნატიფ და ზუსტ მოტორიკას მოითხოვს, მას უყვარს მოძრაობა, აქვს კარგი კოორდინაცია, თავის ასაკთან შედარებით, ძირითადი მოძრაობითი უნარები კარგად აქვს განვითარებული, აქვს განსაკუთრებული ფიზიკური ძალა.
- ინტელექტუალური სფერო – ბავშვი ამუღავნებს კარგ აზროვნებას, მკვეთრად გამოხატულ ცნობისმოყვარეობას, მას კარგი მეხსიერება აქვს. იგი ყურადღებიანია, კარგად და ადვილად სწავლობს, კარგად გამოხატავს

საკუთარ აზრს, ადვილად ხსნის ამოცანებს და თანატოლებზე ბევრად მეტი იცის.

- აკადემიური მიღწევების სფერო. გამოირჩევა კითხვის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით და შესაძლებლობებით. ბავშვი ადრეულ ასაკში იჩენს ინტერესს ერთ-ერთი სფეროს მიმართ: კითხვამ, მათემატიკურმა თამაშებმა ან ბუნებაზე დაკვირვებამ და ექსპერიმენტებმა შეიძლება მთლიანად მიიპყროს მისი ყურადღება. ბავშვი განსაკუთრებულ ყურადღებას არა მარტო მეცადინეობის დროს, არამედ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაშიც იჩენს. არიან ბავშვები, რომლებსაც განსაკუთრებულად უყვართ წიგნები და კითხვა ან ყველაფერს ითვლიან.
- შემოქმედება. ბავშვი ძალზე ცნობისმოყვარეა, ბევრ საგანს და მოვლენას თავისებურად აღიქვამს, შეუძლია მოიგონოს ახალი თამაში, პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზა და მასალები, უყვარს მხატვრულ-შემოქმედებითი მეცადინეობები.
- ურთიერთობები და ლიდერობა— ბავშვი ადვილად ეგუება ახალ სიტუაციებს, კარგად გრძნობს თავს უცხო ბავშვებთან და მოზრდილებთან. მას შეუძლია ინიციატივის გამოჩენა, ხშირად არის თამაშების ორგანიზატორი და ლიდერი. შეუძლია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, სხვა ბავშვები მას მიმართავენ რჩევებისათვის.
- მხატვრული შემოქმედების სფერო— ბავშვი გამოირჩევა მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოებებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, კარგად გრძნობს მხატვრულ ნაწარმოებებში გადმოცემულ ემოციებს, თვითონაც სიამოვნებით უკრავს ან ხატავს.

ნიჭიერი ბავშვისათვის დამახასიათებელია ყურადღების კონცენტრაცია, ცნობისმოყვარეობა, მისთვის საინტერესო ამოცანების გადაჭრა, აბსტრაქტული აზროვნებისადმი მიდრეკილება. როგორც წესი, ნიჭიერი ბავშვი იჩენს დამოუკიდებლობას და შეიძლება უარი თქვას იმ მოთხოვნების შესრულებაზე, რომლებიც მისთვის გაუგებარია ან ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

რა თქმა უნდა, ნიჭიერების ჩამოთვლილი თვისებები საკმაოდ ზოგადია, კერძო შემთხვევაში, დაემატება რაღაც თვისებები ან პირიქით. საკმაოდ ხშირად მშობლები, უფროსები, გავრცელებულ შეცდომას უშვებენ: ბავშვს უნებლიეთ ზემოცანებს უყენებენ. თუ პატარა კარგად მეტყველებს, გარკვეულ დასკვნებს აკეთებს, მისგან ასეთსავე „ზრდასრულ“ რეაქციას ითხოვენ დისციპლინისა და თვითმომსახურების საკითხებში. მშობლებსა და აღმზრდელებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ ადრეულ ბავშვობაში ნიჭიერი ბავშვები ასევე ემოციურად არამდგრადები, მოუთმენლები არიან, როგორც ყველა მათი თანატოლი, რომელიც განიცდის „ჯიუტობის კრიზისს“. ამავე დროს ფსიქოლოგებმა შენიშნეს, რომ ბავშვებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ნიჭიერ ბავშვებში ხშირად უფრო გაზვიადებულია, მათი ფანტაზიისა და წარმოსახვის დიდი უნარის გამო. ნიჭიერი ბავშვების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, აგრეთვე, არავერბალური სიგნალების სხეულის ენის მიმართ დიდი მგრძობელობაა. დაძაბულმა ატმოსფერომ, ფარულმა გაღიზიანებამ შეიძლება მათ ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედოს. პატარებს არ შეუძლიათ საკუთარი ემოციების მართვა, მათი შინაგანი დისკომფორტი შეიძლება გაზრდილ სიჯიუტესა და უფროსების დაუმორჩილებლობაში გამოიხატოს.

მკვლევარებმა შენიშნეს, რომ ბევრი ნიჭიერი ბავშვისათვის დამახასიათებელია მაღალი ენერგეტიკული დონე და ხანმოკლე ძილი. ამ მიზეზის გამო, ზოგიერთი ბავშვი დღის ძილზე უარს აცხადებს. ამ შემთხვევაში ძილი წყნარი თამაშებით, კითხვით, ზღაპრების მოყოლით უნდა შეიცვალოს. ეს ბავშვს დასვენების საშუალებას მისცემს.



უნდა გვახსოვდეს, რომ ნიჭიერი სკოლამძელები ისევე, როგორც მათი სხვა თანატოლები, ეგოცენტრისტები არიან. ასეთი ბავშვები დარწმუნებულნი არიან, რომ სხვა ადამიანებიც ისევე აღიქვამენ და ემოციურად რეაგირებენ გარემოზე, როგორც ისინი. ბავშვების ეგოცენტრიზმი ხშირად უერთდება რამეს გაკეთების უნარობით გამოწვეულ გაღიზიანებას. საქმე ისაა, რომ ნატიფი მოტორიკის, კოორდინაციის განვითარება უფრო მეტად არის დაკავშირებული ასაკთან, ვიდრე შემეცნების განვითარება. ამის შედეგია დროებითი, არათანაბარი განვითარება, როდესაც შემეცნებითი სფერო უსწრებს პრაქტიკული უნარების სფეროს.



ეს ხშირად გაუგებრობასა და გაკვირვებას იწვევს, როგორც თვითონ ბავშვებში, ისე უფროსებში. რადგან გარკვეულ სფეროებში ბავშვები დიდ წარმატებებს აღვილად აღწევენ, უნდაბათ მოლოდინი, რომ მათთვისაც ყველაფერი აღვილად მისაღწევი იქნება. თუ მშობლებიც მსოლოდ წარმატებებზე არიან ორიენტირებული და თითოეულ წარუმატებლობაზე ნეგატიურად რეაგირებენ, მათთვის ძნელი

გასაგები იქნება ბავშვის განცდები წარუმატებლობის გამო და ვერ შეძლებენ გაუწიონ ბავშვს აუცილებელი ემოციური მხარდაჭერა. მშობლებმა შეიძლება ბავშვის თვითშეფასებასა და თვითაღქმაში განხეთქილება შეიტანონ.

ასეთი ქცევის შედეგია ბევრი ნიჭიერი ბავშვის დაბალი თვითშეფასება. თუ მშობლებმა ბავშვს ჩაუნერგეს, რომ ყველაფერში პირველი, ყველაზე უკეთესი უნდა იყოს, ნებისმიერ წარუმატებლობას ბავშვის თვითშეფასება შეუძლია ძალიან დააქვეითოს. ნიჭიერი ბავშვის ჯანსაღი თვითშეფასების ფორმირებისათვის სასარგებლოა ასეთსავე ბავშვებთან ურთიერთობა. ბავშვისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან არა მარტო წარმატება განიცადოს, არამედ ბავშვი უნდა შეეჩვიოს, რომ შეიძლება პირველი არ იყოს და ეს ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის თვითშეფასება არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ გარეგან შეფასებაზე.

ჯანსაღი თვითშეფასების ფორმირებაში ლომის წილი მშობლებს ეკუთვნის. მნიშვნელოვანია, რომ პატარას ჩამოეუყალიბოთ იმის გაგება, რომ სხვა ადამიანებს (უფროსებსა და პატარებს) შეიძლება სხვა ინტერესები ჰქონდეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველანი მნიშვნელოვანი პიროვნებები არიან. ამიტომ არის აუცილებელი ბავშვის ურთიერთობა სხვა ბავშვებთან. კარგია, თუ ოჯახში სხვა ბავშვებიც არიან.

ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ იმ ოჯახში, სადაც ნიჭიერ ბავშვს „სამყაროს ცენტრად“ თვლიან და უფროსები მას მთელ თავის დროსა და ენერჯიას უთმობენ. ასეთი ოჯახური აღზრდის შედეგად შეიძლება მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანი აღიზარდოს, მაგრამ მას გაუჭირდება სხვებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, როგორც წესი, ასეთი ადამიანები უბედური არიან პირად ცხოვრებაში. დაფიქრდით, გსურთ ასეთი მომავალი თქვენი ბავშვისათვის?



ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის ნიჭიერებას იგნორირება უნდა გაუკეთოთ. უბრალოდ, არ არის საჭირო მის მიმართ აღფრთოვანების მუდმივად გამოხატვა. პატარები კარგად გრძნობენ მშობლის რეაქციას ყველაფერზე და ამის მიხედვით ახდენენ საკუთარ თვითშეფასებას.

თანატოლებთან ურთიერთობაში ნიჭიერი ბავშვები ხშირად საკუთარ თავზე ლიდერის ფუნქციას იღებენ. მათთვის ეს ბუნებრივია, მაგრამ, შეიძლება სხვა ბავშვებს არ მოეწონოთ. როგორ შეიძლება ეს სიტუაცია მოზარდს სხვების თვალთ დაეანახოთ? საუბარი შედეგს არ მოიტანს, რადგან სამი-ხუთი წლის ბავშვები ჯერ კიდევ ძლიერ ეგოცენტრულები არიან. ყველაზე კარგი გამოსავალია,

გაითამაშოთ მსგავსი სიტუაცია და შეეცადოთ მის მსგავსად სხვებზე სწრაფად გადაწყვიტოთ ამოცანა. შეიძლება შეარბილოთ სიტუაცია და გამოიყენოთ სათამაშოები.

საწინააღმდეგო სიტუაციაა, როდესაც მშობლები საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას ბავშვის ნიჭს. ბავშვისათვის ასეთი რეაქცია ძალზე მეტყველია და მის ენაზე ასე უდერს: „შენი ნიჭი ჩვენ არ გვახარებს, ჩვენთვის სულერთია“. ამის შედეგად ბავშვი ცდილობს „დამალოს“ თავისი ნიჭი. შიგნით პატარა გრძნობს მას, მაგრამ არ იცის როგორ მოიქცეს, რადგან უფროსებში ვერ გრძნობს მხარდაჭერას და გაგებას. პატარა შინაგან დისკომფორტს განიცდის, იგი იძულებულია საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში იყოს. დროთა განმავლობაში მან შეიძლება „ჩაკლას“ თავისი ნიჭი, მაგრამ შესაძლებელია, რომ შინაგანი წინააღმდეგობის გამო, დაირღვეს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობა, გვესურს ჩვენი ბავშვისათვის ასეთი მომავალი?

ნიჭიერი ბავშვები ვრცელი საუბრის ამოუწურავი თემაა, რაც ჩვენი წიგნის ფორმატს სცილდება. ამიტომ რამდენიმე რჩევას მოგცემთ, თუ როგორ მოიქცეთ ასეთ ბავშვებთან:

- პირველ რიგში გააანალიზეთ ფასეულობათა სისტემა. განსაზღვრეთ, რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვის აღზრდაში. რამდენად დაგეხმარებათ ეს ბავშვის თვისებების რეალიზაციაში, მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში.
- გახსოვდეთ, რომ ნიჭის მიუხედავად, იგი მაინც პატარა ბავშვია, თავისი ასაკისათვის დამახასიათებელი თვისებებით. მასთან ურთიერთობისათვის ყველაზე ეფექტური მაინც თამაში რჩება.
- როგორც ყველა ბავშვისათვის, ნიჭიერი ბავშვისათვის მიუღებელია ნოტაციები და ხანგრძლივი საუბრები.
- ყურადღება მიაქციეთ ყველა იმ ცვლილებას, რომლებსაც ბავშვში ამჩნევთ.

- პატივი ეცით მოზარდის ინდივიდუალურობას. შეეცადეთ მას თავზე არ მოახვიოთ საკუთარი ამბიციები და ინტერესები. გახსოვდეთ, ბავშვი თქვენი სურვილის, მიუღწეველი ოცნებების აღმსრულებელი არ არის.
- ბავშვთან არ იცრუოთ, ყველა პატარა ძალზე მგრძობიარეა უსამართლობისა და სიცრუის მიმართ.
- ნიჭიერი ბავშვი, თავისი ნიჭიერების სფეროს გარდა, ჩვეულებრივი მოზარდია და როგორც ყველა ბავშვი, ოჯახისათვის უდიდესი ბედნიერებაა.

#### 14.

როგორ გაგზარდოთ გოგონა ან ბიჭი? ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ გენდერულ თანასწორობაზე, ხშირად მოთხოვნებიც ერთნაირი გვაქვს, მაგრამ მამაკაცსა და ქალს სიცოცხლე სხვადასხვა ამოცანებს უყენებს, შესაბამისად მათ განსხვავებული თვისებები უნდა ჩამოგუყალიბოთ.

მნიშვნელოვანია, რომ მივიღოთ თავიდანვე, როგორც მოცემულობა – ისინი განსხვავებულნი არიან. არ არსებობს უსქესო ბავშვი, მან უნდა იცოდეს თავისი მიკუთვნილობა გარკვეული სქესის მიმართ.

გოგონასა და ბიჭის სწორად აღსაზრდელად რამდენიმე წესი უნდა გვახსოვდეთ:

- შეეცადეთ საუბარში ბავშვი ყოველთვის სახელით, ან სქესის აღმნიშვნელი სიტყვით „გოგონა“ ან „ბიჭი“ მოიხსენოთ. როდესაც ვეფერებით მაშინაც: „ჩემი გოგო, ჩემი კარგი გოგო“, „ჩემი ბიჭი ” და ა.შ.
- ტანსაცმელი და სათამაშოები შეურჩიეთ სქესის შესაფერისი;

- არ წაახალისოთ, თუ საწინააღმდეგო სქესის თვისებებს გამოავლენს, არ არის სასაცილო, როდესაც პატარა გოგონა ბიჭივით იქცევა და პირიქით;
- თუ უცნობები ბავშვის სქესს შეცდომით ახსენებენ, შეუსწორეთ;
- მნიშვნელოვანია ბიჭის ერთ წლამდე ძუძუთი კვება;
- გაითვალისწინეთ, რომ ბიჭებს თავიდანვე მეტი თავისუფლება სჭირდებათ;
- მშობლებთან ბიჭები უფრო დიდ ფსიქოლოგიურ დისტანციას ამყარებენ, ვიდრე გოგონები;
- მომავალში ბიჭები უფრო მეტ ცხოვრებისეულ პრობლემებს გაგიჩენენ, ვიდრე გოგონები;
- მამებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ ბიჭებში მამაკაცური თვისებების ჩამოყალიბებას;
- ბიჭები უფრო ხშირად განიცდიან ღამის შიშებს, ვიდრე გოგონები;
- ბიჭებისა და გოგონების ნორმალური აღზრდისათვის ოჯახში უნდა იყოს მამაკაცის და ქალის თვისებების ბალანსი.

აღნიშნული, არც ისე რთული, წესების დაცვა მოგცემთ იმის გარანტიას, რომ მომავალში თქვენი შვილი სრულფასოვან ოჯახს შექმნის.



ეს წიგნი პირველია დაგეგმილი სერიიდან და ის მშობლებისათვის, უფრო მეტად დედებისათვის არის განკუთვნილი. თითოეული მშობელი თვლის, რომ ის ექსპერტია პედაგოგიკის საკითხებში, მაგრამ დედისა და ბებუის თუ პედაგოგისა და სკოლის დირექტორის ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ რაც არ უნდა ბევრი იცოდე, ცხოვრება ისეთ შეკითხვას დაგისვამს, რომელზეც ზუსტი პასუხი შეიძლება არც იცოდე. ყოველი ბავშვი უნიკალურია, თითოეულს განსხვავებული მიდგომა სჭირდება.

ყველა მშობელს უნდა ბავშვი წარმატებული, ჯანმრთელი, ბედნიერი გაზარდოს. ამას უდიდესი შრომა, ენერჯია, სულიერი მასალა სჭირდება. აქ აღზრდის მხოლოდ რამდენიმე საკითხი განვიხილეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ წიგნში აღნიშნული თემები ხელს შეუწყობს თქვენი ბავშვის მომავალ სულიერ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ომარ შუდრა

პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი

## ავტორის შესახებ

1977 წლის ზაფხულში, ჟიული შარტავას (ამჟამად, საქართველოს ეროვნული გმირი) ინიციატივით, ქუთაისში პირველად ჩატარდა „მცირე აკადემია“ (ნიჭიერ მოსწავლეთა პირველი საზაფხულო სკოლა-ბანაკი, რომელიც შემდგომ წლებში ტრადიციად ჩამოყალიბდა).

მე, მაშინ ახალგაზრდა მეცნიერს, დამავალეს ბანაკის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელობა. ვერა ყურულაშვილი კი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მე-3 კურსის სტუდენტი, უკვე ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო და ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოვებულს, 200-მდე მოსწავლეზე ზრუნვა ევალებოდა.

მომდევნო წლებში ვ-ყურულაშვილი, როგორც იშვიათი შრომისმოყვარე, ქიმიის ნოვატორი-პედაგოგი და გამოცდილი ადმინისტრატორი, გახდა მე-13 საშუალო სკოლის დირექტორი, ხოლო 2010 წლიდან ის საერო სკოლა „დეა“-ს დირექტორია.



ვ.ყურულაშვილი მრავალი მეთოდური სტატიის ავტორია, იყო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, მონაწილეობს სხვადასხვა კონფერენციებში (მათ შორის : კიევი, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, როსტოვი და სხვ.), ის სწავლების პროგრესულ მეთოდებსა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ძალზე აქტუალური გახდა ბავშვის ოჯახში აღზრდის საკითხი, რადგან ჩვენი ცხოვრების სოციალური და ეგზისტენციალური მხარეები აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგია.

ვ.ყურულაშვილს განზრახული აქვს განხილულ თემაზე რამდენიმე წიგნის დაწერა. მკითხველის წინაშეა ამ სერიის პირველი წიგნი.

ინტერნეტის ფართო გავრცელებამ და საავტორო უფლებების დაცვის სტიქიურმა უკონტროლობამ, შეცვალა ავტორთა (მათ შორის მხატვრული ლიტერატურის), დამოკიდებულება საავტორო უფლებების მიმართ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვიკიპედიის ენციკლოპედია.

ვ.ყურულაშვილის წიგნიც თანამედროვე ფორმატით ქვეყნდება, უფასოდ. თუმცა, ბავშვთა აღზრდით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ქველმოქმედებაც, ჩარიცხონ თანხა შემდეგი რეკვიზიტებით:

მიმღები ბანკი: საქართველოს ბანკი;

ბანკის კოდი: **BAGAGE22**;

მიმღების სახელწოდება: ვერა ყურულაშვილი;

მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE07BG0000000643123**;

ანგარიშის ვალუტა: **GEL**.

